



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №17
თებერვალი, 2021

თბილისი, 2021

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

ნანუკა ყრუაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის მანდატების შეწყვეტა

პარლამენტმა 2 თებერვლის პლენარულ სხდომაზე განიხილა საკითხი 51 ოპოზიციონერი დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, რასაც არცერთმა დეპუტატმა მხარი არ დაუჭირა.¹ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ ამით „მმართველი გუნდი ოპოზიციას მათი მხარდამჭერების „ნების პატივისცემისთვის“ კიდევ ერთ შესაძლებლობას აძლევდა“.² მისივე განმარტებით, პარლამენტში შესვლა ოპოზიციის კიდევ 20 დეპუტატს სურდა, თუმცა ამ ნაბიჯის გადადგმას „შანტაჟისა და ბულინგის“ გამო ვერ ახერხებდნენ.³

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ეს განცხადება ოპოზიციიდან უარყოფითად შეაფასეს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ⁴ და პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერმა ეკა ბესელიამ.⁵ უმრავლესობის ნაბიჯი კონსტრუქციულად მიიჩნია „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, იაგო ხვიჩიამ,⁶ ხოლო პარტია „ლელოს“ გენერალურმა მდივანმა ბადრი ჯაფარიძემ უმრავლესობის ამ ნაბიჯში დაინახა შესაძლებლობა, ოპოზიციის საკანონმდებლო ორგანოში შესვლის სანაცვლოდ, მმართველ გუნდს რიგგარეშე არჩევნები დაენიშნა.⁷

„მეტი თავისუფლება - გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თამარ კორძაიამ და პოლიტიკური მოძრაობის „დროა“ დამფუძნებელმა ელენე ხოშტარიამ პარლამენტის გადაწყვეტილება ოპოზიციის წევრებისთვის მანდატების შეჩერებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს.⁸

¹ საქართველოს პარლამენტის 2 თებერვლის პლენარული სხდომა, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vGeWHG>, განახლებულია: 19.03.2021.

² „პარლამენტმა ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის მანდატების შეწყვეტას მხარი არ დაუჭირა“, , 2021 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3eWD9n8>, განახლებულია: 19.03.2021.

³ „ქართული ოცნება ოპოზიციის დეპუტატებს მანდატებს არ შეუწყვეტს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/394972>, განახლებულია: 19.03.2021.

⁴ „გიორგი ვაშაძე მანდატების საკითხზე - „ქართულმა ოცნებამ“ ეს საკუთარი თავისთვის გააკეთა, საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის მიიღეს ეს გადაწყვეტილება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3r5kmbE>, განახლებულია: 19.03.2021.

⁵ „ეკა ბესელია - უმრავლესობამ კონსტიტუციას კიდევ ერთხელ გადააბიჯა, რაც ძალიან საშიშ პრეცედენტებს ქმნის“, , 2021 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3c2NHzn>, განახლებულია: 19.03.2021.

⁶ „იაგო ხვიჩიას განცხადებით, „გირჩი“ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გაგრძელებას გეგმავს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/30YpDXS>, განახლებულია: 19.03.2021.

⁷ „ბადრი ჯაფარიძე - „ლელოს“ პოზიცია უცვლელია - პოლიტიკური კრიზისის განმუხტვისთვის ერთადერთი სწორი ნაბიჯია შეთანხმება ვადამდელ არჩევნებზე ან გზა, რომელიც მიგვიყვანს ვადამდელ არჩევნებამდე“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2P3b56G>, განახლებულია: 19.03.2021.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის N3/1-1/1565, 1568, 1569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საიას აზრით, კონსტიტუცია პარლამენტის წევრს საკუთარ მანდატზე უარის თქმის შესაძლებლობას აძლევს. პარლამენტი კი ვალდებულია, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში დეპუტატს უფლებამოსილება შეუნყვიტოს. უმრავლესობის ნაბიჯი ენინააღმდეგება კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტს, რომელიც დეტალურად მიუთითებს იმ გარემოებებზე, როდესაც პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება.

ოპოზიციის ბოიკოტი

ოპოზიცია კვლავ აგრძელებს ბოიკოტს. „მეტი თავისუფლება - გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ოპოზიციასა და „ქართულ ოცნებას“ შორის მოლაპარაკებების დროს იყვნენ პარტიები, რომლებიც, უმრავლესობის მიმართ უნდობლობის გამო, არ აპირებდნენ პარლამენტში შესვლას მაშინაც, თუ ოპოზიციის ერთიანი წინადადების ოთხივე პუნქტი დაკმაყოფილდებოდა.⁹ ეს უნდობლობა კი გამონვეული იყო მმართველი პარტიის მიერ ტყუილი დაპირებებით როგორც ოპოზიციის, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ.¹⁰ ზურაბ ჯაფარიძის განცხადებას გამოეხმაურა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ხელმძღვანელი გიორგი ვაშაძე, რომელმაც, ერთი მხრივ, დაადასტურა იმ პარტიებისა და დეპუტატების არსებობა, რომლებიც შეთანხმების შემთხვევაშიც არ აპირებდნენ პარლამენტში შესვლას, თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნა, რომ „სტრატეგია აღმაშენებელი“ მათ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა.¹¹

„გირჩის“ წევრ ალექსანდრე რაქვიაშვილის თქმით, მნიშვნელოვანი იყო პარტიების მხრიდან ზურაბ ჯაფარიძის განცხადების დადასტურება ან უარყოფა, რადგან მათ საზოგადოება და ელჩები შეცდომაში არ შეეყვანათ.¹² მან აქვე დასძინა, რომ „გირჩს“ ასეთი პოზიცია არასდროს არ ჰქონდა.¹³ შეთანხმების შემთხვევაში ბოიკოტის რეჟიმში დარჩენა უარყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ზაალ უდუმაშვილმაც.¹⁴

„მოქალაქეების“ ლიდერისა და პარლამენტის წევრის ალექო ელისაშვილის განცხადებით, ბოიკოტის გაგრძელების მომხრე იყო „ევროპული საქართველო“.¹⁵ თავის მხრივ, „ევროპული საქართველოს“ წევრმა ირმა ნადირაშვილმა აღნიშნა, რომ ოპოზიციის მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში პარტია სხვებთან ერთად შევიდოდა პარლამენტში.

საკითხზე განმარტება გააკეთა „ლელოს“ წევრმა ბადრი ჯაფარიძემაც. მისი თქმით, მოლაპარაკებების დროს ზოგიერთი პოლიტიკოსი კატეგორიულ უარს არ აცხადებდა პარლამენტში შესვლაზე, არამედ ისინი ამაზე უარს ამბობდნენ, სანამ უმრავლესობა ოპოზიციის ოთხივე მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა.¹⁶

⁹ „ზურა ჯაფარიძე - იყვნენ პარტიები, რომლებიც იმ შემთხვევაშიც არ აპირებდნენ პარლამენტში შესვლას, თუ ოპოზიციის წინადადების ოთხივე პუნქტი დაკმაყოფილდებოდა და ამის არგუმენტიც ჰქონდათ“, 2021 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3r2Skh5>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁰ იქვე.

¹¹ „გიორგი ვაშაძე მანდატების საკითხზე - „ქართულმა ოცნებამ“ ეს საკუთარი თავისთვის გააკეთა, საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის მიიღეს ეს გადაწყვეტილება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“.

¹² „რომელი ლიდერები არ გეგმავდნენ პარლამენტში შესვლას მოლაპარაკების მიუხედავად - ოპოზიციაში განმარტებებს აკეთებენ“, საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „რუსთავი 2“, 2021 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://rustavi2.ge/ka/news/189117>, განახლებულია: 19.03.2021.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე.

ოპოზიციის მხარდამჭერი აქციები

15 თებერვალს ოპოზიციამ ხელახალი არჩევნების დანიშვნის, „პოლიტპატიმრების“ გათავისუფლებისა და საარჩევნო სისტემის ფუნდამენტური ცვლილების მოთხოვნით 25 თებერვალს და 31 მარტს თბილისსა და რეგიონებში აქციები დააანონსა.¹⁷

19 თებერვალს ოპოზიციის მომხრე აქტივისტებმა არჩევნების შედეგების გაპროტესტების მიზნით პარლამენტის წინ აქცია მოაწყვეს.¹⁸ აქციის ფარგლებში, მათ საკანონმდებლო ორგანოს წინ კარვის გაშლა სურდათ, რასაც აქტივისტებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება და 20 პირის დაკავება მოჰყვა.¹⁹

პარლამენტთან მომხდარ დაპირისპირებას გამოეხმაურა სახალხო დამცველი.²⁰ მან აღნიშნა, რომ კარვების გაშლა მშვიდობიანი შეკრების უფლების ფარგლებში ექცევა, ხოლო პოლიცია ვალდებულია, თავი შეიკავოს სიტუაციის ხელოვნური ესკალაციისგან, დაპირისპირების რისკების თავიდან ასაცილებლად კი მან აქციის მონაწილეებთან მოლაპარაკებები უნდა გამართოს.²¹

საია მიიჩნევს, რომ ტროტუარზე კარვის დადგმის მეშვეობით პროტესტის გამოხატვა არის შეკრებისა და მანიფესტაციის კონსტიტუციური უფლების შემადგენელი ნაწილი. არ არსებობდა პოლიციის მიერ კარვის განთავსების აკრძალვით შეკრების ჩატარების შეზღუდვის აუცილებლობა. საიას აზრით, პოლიციის ქმედება წარმოადგენდა შეკრებისა და მანიფესტაციის ფუნდამენტურ უფლებაში უხეშ ჩარევას.²²

საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფი

შალვა პაპუაშვილმა და ლევან იოსელიანმა 4 თებერვალს გამართეს ერთობლივი ბრიფინგი პარლამენტში საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.²³ შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ საარჩევნო რეფორმაზე მუშაობა დაიწყებოდა იმის მიუხედავად, აღასრულებდა თუ არა საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი თავის მანდატს.²⁴ იქვე, მან ოპოზიციურ პარტიებს პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდა.²⁵ სამუშაო ჯგუფი შეიქმნა პარტია „მოქალაქეებსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის საარჩევნო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით გაფორმებული

¹⁷ „ოპოზიცია თბილისსა და რეგიონებში აქციებს აანონსებს“, *საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“*, 2021 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/519186/>, განახლებულია: 19.03.2021; „ოპოზიცია თბილისსა და რეგიონებში საპროტესტო აქციებს აანონსებს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/397737>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁸ „პარლამენტთან დაპირისპირების დროს ოპოზიციის მომხრე 20 აქტივისტი დააკავეს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 19 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/399399>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁹ იქვე.

²⁰ სახალხო დამცველის განცხადება, *სახალხო დამცველის ოფიციალური Facebook-გვერდი*, 2021 წლის 19 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3bYanRg>, განახლებულია: 19.03.2021.

²¹ იქვე.

²² „საია მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პატივი სცეს ტროტუარზე კარვის მეშვეობით შეკრების ჩატარების უფლებას“, საიას ვებგვერდი, 2021 წლის 19 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3cM5hXn>, განახლებულია: 19.03.2021.

²³ „შალვა პაპუაშვილმა და ლევან იოსელიანმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 4 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bWWq5X>, განახლებულია: 19.03.2021.

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე.

მემორანდუმის საფუძველზე²⁶ და მასში მოცემულ საკითხებზე სამუშაოდ.²⁷

სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეებად სწორედ ზემოაღნიშნული პირები დაინიშნენ.²⁸ პარტია „ევროპელი სოციალისტებიდან“ ჯგუფში შევიდა დავით ზილფიმიანი, ხოლო ცესკოდან - გიორგი შარაბიძე, გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი ძაგანია.²⁹ ჯგუფის შემადგენლობაში გაითვალისწინეს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები.³⁰

კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 1-ლი მარტი, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს მიერ მისი მიღების ბოლო თარიღად - 2021 წლის 1-ლი მაისი.³¹

8 თებერვალს საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა, რომელიც ორ საათს გაგრძელდა.³² დახურულ კარს მიღმა იმსჯელეს ჯგუფის მუშაობის ფორმატზე, მემორანდუმზე და სამომავლო კოორდინაციის საკითხებზე.³³

საიას წარმომადგენელმა ვახუშტი მენაბდემ, რომელიც შეხვედრის მონაწილე იყო, მისი დასრულების შემდეგ განმარტა, რომ ორგანიზაციას პრინციპული პოზიცია ჰქონდა სამ საკითხზე, ესენია: საარჩევნო ადმინისტრაციის სრულად პროფესიული ნიშნით დაკომპლექტება და წევრების რიცხვის შემცირება, საარჩევნო სისტემა ადგილობრივ დონეზე და ამომრჩევლის ნების კონტროლი.³⁴

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენელმა ნინო რიჭამაძემ განაცხადა, რომ პროექტი არ ითვალისწინებდა ამომრჩეველთა მოსყიდვის საკითხს.³⁵ დოკუმენტი გააკრიტიკა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ წარმომადგენელმა ლევან ნატროშვილმა. მისი თქმით, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი „რისკებს შეიცავდა, რომ ეს კომისიები იქნება კვლავ მმართველი პარტიის გავლენის [ქვეშ]“.³⁶

პროცესს გამოეხმაურა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი სალომე სამადაშვილიც. მისი თქმით, „ხელისუფლება ვერ შექმნის ილუზიას, რომ მხოლოდ ერთ, დაბალი ელექტორატული

²⁶ ლაცაბიძე მ. *საინფორმაციო ბიულეტენი №16 იანვარი, 2021* (თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 3-4, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38YY6tY>, განახლებულია: 19.03.2021.

²⁷ „პარლამენტში დღეს საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3c5qdtv>, განახლებულია: 19.03.2021.

²⁸ „შალვა პაპუაშვილმა და ლევან იოსელიანმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*.

²⁹ „პარლამენტში საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/396081>, განახლებულია: 19.03.2021.

³⁰ ეს ორგანიზაციები არიან: საია; „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“; „მრავალეროვანი საქართველო“; „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი“; აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI); საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI); აშშ-ის საელჩო საქართველოში; USAID-ი; ევროკავშირი და ევროსაბჭო, იხ. „შალვა პაპუაშვილმა და ლევან იოსელიანმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*; „პარლამენტში საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*.

³¹ „შალვა პაპუაშვილმა და ლევან იოსელიანმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*.

³² „პარლამენტში საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*.

³³ „საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა“, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lx9C4x>, განახლებულია: 19.03.2021.

³⁴ „ვახუშტი მენაბდის განცხადებით, საარჩევნო ადმინისტრაცია ისე უნდა დაკომპლექტდეს, რომ ყველა წევრს ჰქონდეს როგორც მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციის მხარდაჭერა“, , 2021 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3r2e6Bi>, განახლებულია: 19.03.2021.

³⁵ „როგორ უნდა გაუმჯობესდეს საარჩევნო გარემო - საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა დასრულდა“, 2021 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://rustavi2.ge/ka/news/189652>, განახლებულია: 19.03.2021.

³⁶ იქვე.

მხარდაჭერის მქონე მოთამაშესთან რამე შეთანხმება განმუხტავს პოლიტიკურ კრიზისს“.³⁷

15 თებერვალს სამუშაო ჯგუფმა რიგით მეორე შეხვედრაზე საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ კანონპროექტის პირველადი ვერსია განიხილა.³⁸ ძირითადი ფოკუსი მიმართული იყო საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესსა და ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სისტემაზე.³⁹ შეხვედრაზე მოსაზრებები წარადგინა საიამ. საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით ორგანიზაციის მიერ მომზადებულ სპეციალურ დასკვნას⁴⁰ დაემატა რამდენიმე ახალი საკითხი:

1. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

საარჩევნო კამპანიის დროს სახელმწიფო ონლაინგვერდების გამოყენებასა და სამუშაო საათებში საჯარო მოსამსახურეების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობასთან, მათ შორის პარტიულ ღონისძიებებზე დასწრებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისთვის, მნიშვნელოვანია, დაკონკრეტდეს აგიტაციის ცნება და განისაზღვროს, რომ იგი მოიცავს სოციალური ქსელის პირადი გვერდის საშუალებით პოლიტიკური მონოდეტების გავრცელებას.

2. არჩევნების შედეგების გადათვლის შესაძლებლობა

ნებისმიერი უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში საარჩევნო უბნების, სულ მცირე, 10 პროცენტის გადათვლის ნაცვლად, საია მიიჩნევს, რომ უმჯობესია, განისაზღვროს იმ კრიტერიუმების ღია ჩამონათვალი, რომელთა არსებობისას კომისია ვალდებული იქნება, ხელახლა გადათვალოს ბიულეტენები.

3. გენდერული კვოტა

გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრისთვის, საია მიიჩნევს, რომ უნდა დადგინდეს საარჩევნო რეგისტრაციისას პარტიულ სიაში განსხვავებული სქესის 50%-იანი მონაწილეობის ვალდებულება. რეგულაცია ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე თანასწორი წარმომადგენლობის მიღწევამდე უნდა მოქმედებდეს.

4. საარჩევნო დავები

- საოლქო კომისიამ კენჭისყრის შედეგები უნდა შეაჯამოს ყველა ინსტანციის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით და არა - საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების მიხედვით, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-11 დღისა, როგორც ეს ამჟამადაა;
- კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს მხარისთვის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების ვადას, როგორც ეს დადგენილია რაიონული/საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში;
- სამართლებრივ დონეზე უნდა გაიმიჯნოს კომისიის საქმიანობაში/ფუნქციებში ჩარევისა და მისთვის ხელის შეშლის/წესრიგის დარღვევის კვალიფიკაცია, რათა მომავალში ამასთან დაკავშირებული ბუნდოვანება აღმოიფხვრას.
- როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ საჩივარია შეტანილი, სასურველია, მას გაუხანგრძლივდეს უფლებამოსილების ვადა იმ დრომდე, სანამ არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;
- სამართალდარღვევისოქმისშედგენაზეუარისშემთხვევაშიუნდაარსებობდესგადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

³⁷ საინფორმაციო პორტალი „ფორმულა NEWS“, სოციალური ქსელი „Facebook“, 2021 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3cM8uWV>, განახლებულია: 19.03.2021.

³⁸ „საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულმა სამუშაო ჯგუფმა მორიგი შეხვედრა გამართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3c0ohSP>, განახლებულია: 19.03.2021.

³⁹ იქვე.

⁴⁰ ლაცაბიძე მ. საინფორმაციო ბიულეტენი №16, იანვარი, 2021, გვ. 4-5.

საკუთარი მოსაზრებები წარადგინეს ასევე საქართველოში აშშ-ის საელჩომ და ევროკავშირის წარმომადგენლობამ. მათი თქმით, ყოველი მომდევნო არჩევნები პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს; პარტიას, რომელიც 3%-იან ბარიერს გადალახავს, უნდა გააჩნდეს ფრაქციის შექმნის შესაძლებლობა; უნდა აიკრძალოს საარჩევნო უბანთან 100 მეტრის რადიუსით პირთა შეკრება და ამომრჩევლის ნების კონტროლი. ევროკავშირის წარმომადგენლობამ დამატებით აღნიშნა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევაში უნდა ჩართულიყო ოპოზიციაც, რაც მოიაზრებდა ხმის მიცემას 2/3-ის უმრავლესობით ან ორმაგი უმრავლესობით, სადაც ოპოზიციის ნახევარზე მეტის დადებითი ხმა იქნებოდა საჭირო. მათ ასევე მხარი დაუჭირეს ცესკოს წევრთა პროფესიული ნიშნით დანიშვნის ინიციატივას. რეკომენდაციები გასცეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამაც“. მათი თქმით, ცესკოს დაკომპლექტების წესი უნდა შეიცვალოს. ერთ პარტიას ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და, ასევე, საუბნო საარჩევნო კომისიაში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლება უნდა ჰქონდეს. ამასთან, პროფესიული წევრების ასარჩევად საჭირო უნდა იყოს როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე ოპოზიციის მხარდაჭერა. თუმცა, ორგანიზაციების მოსაზრებით, ცესკოს და სხვა კომისიების სრულად პროფესიული ნიშნით დაკომპლექტების მოდელზე გადასვლა უნდა მოხდეს ეტაპობრივი რეფორმით, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდება სრულად პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტი. მათ ასევე აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანი იქნება საარჩევნო უბნის საბოლოო დახურვისა და დოკუმენტაციის დალუქვის შემდეგ შესწორების ოქმების შედგენის აკრძალვა.

„მრავალეროვანი საქართველოს“ მოსაზრებით, ბარიერი ყველა თვითმმართველობისთვის უნდა იყოს 2.5%; საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას, პარტიები, რომლებიც დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მოიპოვეს პარლამენტის წევრის მანდატი, კომისიებში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ თითო წევრით; საჩივრების წარდგენისა და მათი განხილვის 1-2 დღიანი ვადა 3-5 დღემდე უნდა გაიზარდოს. ასევე, მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის გამკაცრება სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვისთვის.

„ევროპელი სოციალისტების“ მიერ შემუშავებული მოსაზრებების მიხედვით, საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ბარიერი 2% უნდა იყოს; პოლიტიკური პარტიის არანაკლებ 4 წევრს (ან ამ პარტიასთან გაერთიანებულ საპარლამენტო ჯგუფს) უნდა მიენიჭოს პოლიტიკური ჯგუფის სტატუსი. ფრაქციას ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული კანდიდატურის წარდგენის უფლება უნდა ჰქონდეს; ადგილობრივი არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს. პარტიამ ასევე ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მიერ პარლამენტში შესული პოლიტიკური გაერთიანების დაფინანსების საკითხის მნიშვნელობასაც.

19 თებერვალს სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეხვედრა გაიმართა, სადაც, ძირითადად, სამი საკითხი განიხილეს: საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება, საარჩევნო დავები და ადმინისტრაციული რესურსი.⁴¹ შალვა პაპუაშვილმა შეხვედრა პოზიტიურად შეაფასა. მისი თქმით, გადანყდა, რომ საარჩევნო კომისიის შერეული ტიპი შენარჩუნდება; თუმცა, ყველა ბარიერგადალახულ პარტიას ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებში თითო-თითო წარმომადგენელი ეყოლება.⁴² ამასთან, ცესკოში პროფესიული ნიშნით დანიშნული პირების რაოდენობა, ექვსის ნაცვლად - რვა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხუთის ნაცვლად, ასევე რვა იქნება.⁴³

საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულმა სამუშაო ჯგუფმა მორიგი შეხვედრა 24 თებერვალს გამართა.⁴⁴ საიამ, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის გათვალისწინებით, შეხვედრის

⁴¹ „საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულმა სამუშაო ჯგუფმა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესთან, საარჩევნო დავების გადანყვეტასა და ადმინისტრაციულ რესურსთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eUt3mJ>, განახლებულია: 19.03.2021.

⁴² იქვე.

⁴³ იქვე.

⁴⁴ „საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულმა სამუშაო ჯგუფმა განხილულ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმებას

გადადება მოითხოვა, რაც არ დაკმაყოფილდა. ორგანიზაცია სამუშაო ჯგუფის მეოთხე შეხვედრას არ დასწრებია. „საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანმა საქართველომ“ წარადგინა რეკომენდაციები, რომელთა მიხედვით: ცესკოს პროფესიული წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევა უნდა მოხდეს პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერით; ცესკოში წევრის ყოლის უფლება უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ პარტიას, თუ ის დამოუკიდებლად მონაწილეობდა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში და, მისი წარდგენით, პროპორციული წესით არჩეული იყო პარლამენტის წევრი; უნდა შენარჩუნდეს საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დღეს არსებული შერეული მოდელი; ასევე, ყველა პარტია, რომელიც დამოუკიდებლად მონაწილეობდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში და მოიპოვა პარლამენტის წევრის მანდატი, უფლებამოსილი უნდა იყოს, დანიშნოს თითო წარმომადგენელი ყველა დონის საარჩევნო კომისიაში.

შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ მხარეებმა, ფაქტობრივად, ყველა სადავო საკითხზე მიაღწიეს შეთანხმებას.⁴⁵ მისივე თქმით, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე გახდება ცნობილი საარჩევნო უბნის წევრების ვინაობა; შესწორების ოქმების შედგენა დაიშვება მხოლოდ უბნის გადათვლის საფუძველზე; შესაძლებელი იქნება საჩივრების ელექტრონულად წარდგენა; ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც საოლქო კომისია ან ცესკო არ შეადგენენ სამართალდარღვევათა ოქმს, იარსებებს სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმი;⁴⁶ არჩევნების დღეს დაცული იქნება 100-მეტრიანი რადიუსი, სადაც აიკრძალება ამომრჩეველთა შეყვანება და აღრიცხვა.⁴⁷ კანონპროექტის მიხედვით, იგივე დარჩა საოლქო კომისიების და ცესკოს დაკომპლექტების პრინციპი, რომელიც მოიაზრებდა როგორც პროფესიული, ისე პარტიული ნიშნით პირთა დანიშვნას, თუმცა გაიზარდა წევრთა რაოდენობა. ცესკოში, წევრთა რაოდენობა 12-დან 17-მდე გაიზარდა (8 პროფესიული, ხოლო 9 პარტიული ნიშნით დანიშნული წევრი). საოლქო საარჩევნო კომისიაში კი დაკომპლექტების წესი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: 5 წევრს ნიშნავს ცესკო, 9-ს - პარტიები, ხოლო დარჩენილ 3-ს - ცესკო დროებით. გადაწყდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნა მხოლოდ პროფესიული ნიშნით, საოლქო კომისიების მიერ.

საია მიიჩნევს, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების შერეული მოდელი უნდა შეიცვალოს პროფესიულით; შემოთავაზებული კანონპროექტით, ცესკო საოლქო საარჩევნო კომისიაში წევრებს დანიშნავს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ეს ციფრი 2/3-მდე უნდა გაიზარდოს. გარდა ამისა, ორგანიზაცია არ ეთანხმება საუბნო საარჩევნო კომისიაში წევრების დანიშვნის შემოთავაზებულ ვერსიას, რომლის მიხედვითაც, კომისიის წევრებს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერს, მათ შორის, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული 3 წევრი მაინც. საიას მოსაზრებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობაში, ცესკოს მიერ დანიშნული წევრების ნაცვლად, მხარი უნდა დაუჭიროს პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულმა სამმა წევრმა. აგრეთვე, საარჩევნო უბნიდან 100 მეტრის მოშორებით ამომრჩეველთა შეყვანებასა და აღრიცხვასთან ერთად, უნდა აიკრძალოს არააკრედიტებულ პირთა ყოფნაც. საიას აზრით, თვითმართველობის არჩევნები უნდა ჩატარდეს სრულად პროპორციული წესით.

მიანია“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 24 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vIXodO>, განახლებულია: 19.03.2021.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ იქვე.

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე სავარაუდო დარღვევების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია

საქართველოს პარლამენტმა 17 თებერვლის პლენარულ სხდომაზე, 78 ხმით არცერთის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე სავარაუდო დარღვევების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას.⁴⁸ კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 3 თვით.⁴⁹ პარტია „ევროპელი სოციალისტები“ პროცესში მონაწილეობას მიიღებენ.⁵⁰ პარტია „მოქალაქეებმა“ აღნიშნეს, რომ მასში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვებოდნენ, თუ ის ოპოზიციური პარტიებიც მიიღებდნენ მონაწილეობას, რომელთაც, მათგან განსხვავებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნებზე საკუთარი წარმომადგენლები ჰყავდათ.⁵¹

თავდაპირველად გადაწყდა, რომ საგამოძიებო კომისიას ეყოლებოდა რვა წევრი, თუმცა, ვინაიდან ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმში რჩებოდა, პირველ ეტაპზე წევრთა რაოდენობა ოთხამდე შემცირდა:⁵² ორი - ოპოზიციიდან,⁵³ ორი კი - უმრავლესობიდან.⁵⁴

„ქართულმა ოცნებამ“ აღნიშნა, რომ, თუ საგამოძიებო კომისია არჩევნების შედეგებში მათ სასარგებლოდ თუნდაც 1%-იან გადახრას აღმოაჩენს, ის რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს.⁵⁵

ნიკა მელიას საქმე

5 თებერვალს ნიკა მელიამ უარი განაცხადა აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს გადახდაზე.⁵⁶ ამავე დღეს ის „აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს პირობების შეუსრულებლობის შედეგების შესახებ გაფრთხილების მიზნით“ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს, სადაც მის მაგივრად ადვოკატი მივიდა.⁵⁷ მან განაცხადა, რომ გირაოს გადახდასთან დაკავშირებული გაფრთხილების ოქმი და უფლებები პროკურორებს უშუალოდ ბრალდებულისთვის უნდა გაეცნოთ და ის არ იყო უფლებამოსილი, ოქმი ჩაეხარებინა.⁵⁸ ადვოკატის განცხადებით, აღკვეთის ღონისძიების დამძიმება არალეგიტიმური იყო.⁵⁹

⁴⁸ „პარლამენტმა მინისტრის საათის ფორმატში ვიცეპრემიერს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილს მოუსმინა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eWWMJGC>, განახლებულია: 19.03.2021.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ „პარლამენტმა საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარი დაუჭირა“, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/519833/>, განახლებულია: 19.03.2021.

⁵¹ იქვე.

⁵² „არჩევნების შედეგების შესწავლის მიზნით შექმნილი პარლამენტის საგამოძიებო კომისია 4 დეპუტატის შემადგენლობით ჩამოყალიბდება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 22 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3tAE1SC>, განახლებულია: 19.03.2021.

⁵³ კომისიის მუშაობაში ოპოზიციიდან ჩაერთნენ პარტია „ევროპელი სოციალისტების“ წევრები ფრიდონ ინჯია და დავით ზილფიმიანი, იხ. „საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემსწავლელ დროებითი საგამოძიებო კომისიაში „ქართული ოცნებიდან“ დეპუტატები ალუდა ლუდუშაური და გივი მიქანაძე იმუშავენ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 25 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lx85fa>, განახლებულია: 19.03.2021.

⁵⁴ კომისიის მუშაობაში „ქართული ოცნებიდან“ ჩაერთნენ ალუდა ლუდუშაური და გივი მიქანაძე, იხ. იქვე.

⁵⁵ „პარლამენტმა საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარი დაუჭირა“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“.

⁵⁶ „ნიკა მელია: არ გადავიხდი, ვერ დამიჭერთ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2021 წლის 5 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31087771.html>, განახლებულია: 19.03.2021.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე.

პარლამენტის მიერ ნიკა მელიას სადეპუტატო იმუნიტეტის შეჩერება

12 თებერვალს გენერალურმა პროკურატურამ პარლამენტს ნიკა მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების - გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით - პატიმრობით შეცვლის შესახებ სასამართლოსთვის შუამდგომლობის წარდგენასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის თაობაზე მიმართა.⁶⁰ პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ უმრავლესობა მხარს დაუჭერდა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნას.⁶¹ ამ პროცესს გამოეხმაურა სახალხო დამცველიც, რომელმაც საკანონმდებლო ორგანოს მოუწოდა, არ გაეცა თანხმობა, ხოლო პროკურატურას მიმართა, გადაეხედა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილებისთვის.⁶²

საკანონმდებლო ორგანომ ნიკა მელიასთვის სადეპუტატო იმუნიტეტის შეჩერების საკითხი 16 თებერვლის პლენარულ სხდომაზე განიხილა და, 88 ხმით 2-ის წინააღმდეგ, დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.⁶³ პლენარულ სხდომაზე გენერალური პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა ამირან გულუაშვილმა განაცხადა, რომ, ვინაიდან ნიკა მელიამ საჯაროდ უარი თქვა გირაოს გაზრდილი ოდენობის გადახდაზე, ამავე აღკვეთის ღონისძიების შემდგომში გამოყენება სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული.⁶⁴ შესაბამისად, ერთადერთ ალტერნატივას პატიმრობა წარმოადგენდა.⁶⁵

ნიკა მელიას მხარდაჭერა გამოუცხადა და მისი სადეპუტატო იმუნიტეტის შეჩერება უარყოფითად შეაფასა ოპოზიციამ, მათ შორის, ზაალ უდუმაშვილმა (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), გიგი უგულავამ (პარტია „ევროპული საქართველო“), ლევან იოსელიანმა (პარტია „მოქალაქეები“), ნინო ბურჯანაძემ (პარტია „ერთიანი საქართველო“) და სხვა.⁶⁶ პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის მოსაზრებით, ამ ქმედებით „ქართულმა ოცნებამ“ „ისედაც მწვავე პოლიტიკურ კრიზისში მყოფი ქვეყანა ჩიხში [შეიყვანა]“.⁶⁷ მან უმრავლესობას დიალოგის რეჟიმში დაბრუნებისკენ მოუწოდა.⁶⁸

საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა აღნიშნა, რომ ნიკა მელიას საქმეს დიდი გავლენა ექნებოდა ქართულ პოლიტიკაზე. მან მხარეებს მოუწოდა სიფრთხილისკენ, რათა არ გაემძაფრებინათ არსებული სიტუაცია.⁶⁹

⁶⁰ „საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების - გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით - პატიმრობით შეცვლის შესახებ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის თაობაზე პარლამენტს მიმართა“, *საქართველოს პროკურატურის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 12 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lyOhrM>, განახლებულია: 19.03.2021.

⁶¹ „ქართული ოცნების“ წევრის მამუკა მდინარაძის განცხადება, „ქართული ოცნების“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 13 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/38YGkXL>, განახლებულია: 19.03.2021.

⁶² „სახალხო დამცველის განცხადება ნიკანორ მელიას საპარლამენტო იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებით“, *საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3vEzSij>, განახლებულია: 19.03.2021.

⁶³ საქართველოს პარლამენტის 16 თებერვლის პლენარული სხდომა, *საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი*, 2021 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3r18ozK>, განახლებულია: 19.03.2021.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ „ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნას პოლიტიკოსები აფასებენ“, 2021 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/398108>, განახლებულია: 19.03.2021.

⁶⁷ „ლელოს“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის განცხადება, *მამუკა ხაზარაძის ოფიციალური Facebook-გვერდი*, 2021 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3lw6cz7>, განახლებულია: 19.03.2021.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ „ვპიშობ, ამ საქმეს დიდი გავლენა ექნება ქართულ პოლიტიკაზე - ჰარცელი მელიაზე“, *საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“*, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2NzEeWM>, განახლებულია: 19.03.2021.

სასამართლოს მიერ ნიკა მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლა

16 თებერვალს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს ნიკა მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლის შუამდგომლობით მიმართა.⁷⁰ პროცესებს ოპოზიციის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ. მათი თქმით, ნიკა მელია ხელისუფლებას ნებაყოფლობით არ ჩაჰბარდებოდა და ოპოზიციამ მას მხარს დაუჭერდა.⁷¹ სასამართლო პროცესი აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლის თაობაზე 2021 წლის 17 თებერვალს გაიმართა.⁷² საკითხი მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა განიხილა, რომლის სახელსაც ოპოზიციამ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები დაუკავშირა.⁷³ სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ნიკა მელიას პატიმრობა შეუფარდა.⁷⁴

ამასთან დაკავშირებით აშშ-ის საელჩომ საქართველოში განცხადება გაავრცელა.⁷⁵ მასში აღნიშნულია, რომ მხარეებს სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მაქსიმალური თავშეკავების გამოჩენა მართებდათ და მათ სიტუაცია უნდა განემუხტათ მშვიდობიანი გზებით.⁷⁶

სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კომენტარი გააკეთა ევროპარლამენტის წევრმა ანდრიუს კუბილიუსმა. მისი თქმით, საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას დიდი საფრთხე ემუქრებოდა. მან მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდა.⁷⁷

18 თებერვალს ოპოზიციამ ერთიანი განცხადება გაავრცელა.⁷⁸ განცხადებაში აღნიშნულია, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება პოლიტიკური რეპრესიების ესკალაციაზე მიუთითებდა.

⁷⁰ „პროკურატურამ ნიკა მელიას მიმართ პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიმართა“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3cLJ4sC>, განახლებულია: 19.03.2021.

⁷¹ „ელენე ხოშტარია ნიკა მელიაზე - მოუწვევთ, რომ გადაგვიარონ, რათა ეს უკანონო გადაწყვეტილება აღასრულონ, დავდგებით წინ და არ გავუშვებთ“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2NAYsiW>, განახლებულია: 19.03.2021; „ხატია დეკანოიძე - „ქართულ ოცნებას“ თუ გადაწყვეტილია ქვეს, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის მთავარი მენობა მტურმითაილოს, მერწმუნეთ, დიდი ფასი დაუჯდება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2NCXoes>, განახლებულია: 19.03.2021; „ირაკლი აბესაძე - არაერთხელ ითქვა ოპოზიციონერი ლიდერებისა და ნიკა მელიას მხრიდან, რომ ის არ აპირებს ნებაყოფლობით დაემორჩილოს ამ უსამართლო გადაწყვეტილებას“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2P58U2s>, განახლებულია: 19.03.2021; „ლევან ხაბეიშვილი - როგორ ვაპირებთ, მძევლად და ტყვედ არ გავატანოთ ნიკა მელია? ამას ვაპირებთ მშვიდობიანი გზით“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3cLJSxE>, განახლებულია: 19.03.2021.

⁷² „სასამართლომ ნიკა მელიას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/398225>, განახლებულია: 19.03.2021.

⁷³ „ვინარის მოსამართლე, რომელიც მელიას აღკვეთის ღონისძიებას განიხილავს“, *საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“*, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/519768/>, განახლებულია: 19.03.2021; „20 ივნისს დაშავებულებს დაზარალებულის სტატუსი არ მიანიჭა - მაქარაშვილი მელიას საქმის მოსამართლეზე“, *საინფორმაციო პორტალი - ტელეკომპანია „მთავარი არხი“*, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3d2WK2D>, განახლებულია: 19.03.2021.

⁷⁴ „სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა ნიკა მელიას“, *საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“*, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3vzxtxs>, განახლებულია: 19.03.2021.

⁷⁵ „აშშ-ის საელჩო ნიკა მელიასთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ეხმიანება“, , 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3vFASmi>, განახლებულია: 19.03.2021.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ Andrius Kubilius, Twitter post, 18 February 2021, 3:29 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3r1BH5k>, განახლებულია: 19.03.2021.

⁷⁸ ერთიანი განცხადებას ხელს აწერენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „ევროპული საქართველო“; „ლეიბორისტული პარტია“; „ლელო საქართველოსთვის“; „სტრატეგია აღმაშენებელი“; „მეტი თავისუფლება - გირჩი“; „გამარჯვებული საქართველო“; „გაერთიანებული საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“; „რესპუბლიკური პარტია“; „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“; „ქრისტიან-კონსერვატიული მოძრაობა“; „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“; „სამართლიანობისთვის“; „ტრიბუნა“; „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“; „მოძრაობა - სახელმწიფო ხალხისთვის“; „ევროპელი დემოკრატები“; „კანონი და სამართალი“; „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“; „თავისუფალი დემოკრატები“; ელენე ხოშტარია; შალვა შავგულიძე; განცხადება იხ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალური Twitter-ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eUavmu>, განახლებულია: 19.03.2021.

წერილში ნახსენებია, რომ უმრავლესობამ დაარღვია 2020 წლის 8 მარტს მიღწეული შეთანხმება პოლიტკატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით და, უფრო მეტიც, მან განაგრძო პირთა პოლიტიკური ნიშნით დევნა.⁷⁹ ოპოზიციამ სოლიდარობა გამოუცხადა მელიას და დაგმო „აბსურდული და შეკერილი“ საქმე მის წინააღმდეგ.⁸⁰

შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა იუსტიციის უმაღლესი საბჭოც და აღნიშნა, რომ მელიასთვის პატიმრობის შეფარდება კანონმდებლობით იყო გამართლებული და დასაბუთებული.⁸¹ განცხადება გამოეყომაგა საქმის განმხილველ მოსამართლეს და დაგმო მის წინააღმდეგ განხორციელებული „ცილისმნამებლური კამპანია“.⁸²

საქმის პროკურორ მიხეილ სიდრაძის განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის კონკრეტული დრო არ განსაზღვრულა, თუმცა შესაბამისი ორგანო მას გონივრულ ვადაში შეასრულებდა.⁸³

მომხდარის თაობაზე 18-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება,⁸⁴ რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ხელისუფლების ნაბიჯები ზრდიდა პოლიტიკურ პოლარიზაციას და კიდევ უფრო აღრმავებდა დემოკრატიის კრიზისს ქვეყანაში. ორგანიზაციებმა მიმართეს შს სამინისტროს და მოუწოდეს, არ დაეწყო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მანამ, სანამ დაცვის მხარე არ გამოიყენებდა კანონით გათვალისწინებულ ყველა შესაძლებლობას.⁸⁵

საიამ და EMC-მ არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.⁸⁶ ორგანიზაციებმა კრიტიკულად შეაფასეს ნიკა მელიას მიმართ საპატიმრო ღონისძიების შეფარდება და აღნიშნეს, რომ ეს გადაწყვეტილება შერჩევითი, პოლიტიკურად ნაკარნახევი მართლმსაჯულების ნიშნებს შეიცავდა.

პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა

2021 წლის 18 თებერვალს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია გადადგა.⁸⁷ მან მიზეზად „ქართულ ოცნებასთან“ მელიას დაკავების საკითხზე უთანხმოება დაასახელა.⁸⁸ გახარიას თქმით, მან გაუმართლებლად მიიჩნია ნიკა მელიას დაპატიმრება მაშინ, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3r2LIPy>, განახლებულია: 19.03.2021.

⁸² იქვე.

⁸³ „ნიკა მელიას საქმის პროკურორი - იმედს გამოვთქვამთ, რომ ბრალდებული ამ შემთხვევაში მაინც გამოცხადდება შესაბამის ორგანოში“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3IsPOQ2>, განახლებულია: 19.03.2021.

⁸⁴ ეს ორგანიზაციებია: საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო - TI Georgia; საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა - GDI; ღია საზოგადოების ფონდი - OSGF; საზოგადოება და ბანკები; კვლევითი ჟურნალისტიკისა და ეკონომიკური ანალიზის ცენტრი; ცენტრი „ემპათია“; საფარი; ადამიანის უფლებათა ცენტრი; ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი - EPRC; სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - ISFED; საქართველოს ატლანტიკური საბჭო; მწვანე ალტერნატივა; მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - WEG; საქართველოს რეფორმების ასოციაცია - GRASS; ლიბერალური აკადემია - თბილისი; საქართველოს გაეროს ასოციაცია; მედიის განვითარების ფონდი; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი - GFSIS.

⁸⁵ „ერთობლივი განცხადება ნიკა მელიას წინასწარი პატიმრობის გადაწყვეტილებით წარმოქმნილი დაძაბულობის განმუხტვის შესახებ“, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2NwWVdz>, განახლებულია: 19.03.2021.

⁸⁶ „საია და EMC ნიკა მელიას მიმართ პატიმრობის შეფარდებას ეხმიანებიან“, საიას ვებგვერდი, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3d2Zayf>, განახლებულია: 19.03.2021.

⁸⁷ „პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია თანამდებობას ტოვებს“, საინფორმაციო პორტალი „პალიტრანიუსი“, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3Is5vqE>, განახლებულია: 19.03.2021.

⁸⁸ იქვე.

ესკალაციის საფრთხე არსებობდა.⁸⁹ ყოფილმა პრემიერმა, თანამდებობასთან ერთად, პარტია „ქართული ოცნება“ დატოვა.⁹⁰

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ სამწუხარო იყო ექსპრემიერის ეს ნაბიჯი, ხოლო ის არგუმენტები, რომლებიც გაამყარებდა გახარბას პოზიციას, გუნდმა ვერ მოისმინა.⁹¹ კობახიძეს თქმით, პოლიტსაბჭო პრემიერ-მინისტრობის ახალ კანდიდატს მეორე დღესვე დაასახელებდა.⁹² მან იქვე მოუწოდა ნიკა მელიას, დამორჩილებოდა კანონს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება მას დააკავებდა.⁹³

გიორგი გახარბას თანამდებობიდან გადადგომა დადებითად შეაფასა ნიკა მელიამ და აღნიშნა, რომ მისი ეს ნაბიჯი დასაფასებელი იყო.⁹⁴ მან აგრეთვე უმრავლესობას მოუწოდა, ვადადგელ არჩევნებზე მოლაპარაკებები განეხილბინათ.⁹⁵ მელიას მოწოდებას შეუერთდნენ ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებიც, კერძოდ, „ევროპული საქართველოს“ ჯერ კიდევ მოქმედი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე⁹⁶ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე.⁹⁷

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრესსპიკერი პიტერ სტანო გამოეხმაურა ნიკა მელიას წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოს 17 თებერვლის განჩინებასა და პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარბას გადადგომას. მისი თქმით, პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ გულწრფელი პოლიტიკური დიალოგით იყო შესაძლებელი. მან ასევე მიუთითა, რომ საქართველოში დაძაბულობის განმუხტვისა და დემოკრატიის შემდგომი კონსოლიდაციისთვის საჭირო იყო, *inter alia*, ამბიციური და ინკლუზიური სასამართლო და საარჩევნო რეფორმების გარშემო ფართო პოლიტიკური ერთიანობა.⁹⁸

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გიორგი გახარბას გადადგომასთან დაკავშირებით ნიკა მელიას დაკავება დროებით გადადო.⁹⁹

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ „ნიკოლოზ სამხარაძის ინფორმაციით, გიორგი გახარბამ პრემიერ-მინისტრის პოსტთან ერთად „ქართული ოცნება“ დატოვა“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3r1d7S0>, განახლებულია: 19.03.2021.

⁹¹ „ირაკლი კობახიძე - სამწუხაროდ, არგუმენტები, რომლებიც გაამყარებდა გიორგი გახარბას პოზიციას, ჩვენ ვერ მოვისმინეთ - ქვეყანა, სადაც არ არის უზრუნველყოფილი კანონის აღსრულება, ვერ შედგება როგორც სახელმწიფო“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/38VyDBI>, განახლებულია: 19.03.2021.

⁹² „ირაკლი კობახიძე - სავარაუდოდ, ხვალვე შეიკრიბება პოლიტსაბჭო და დასახელებდა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3vGKvRB>, განახლებულია: 19.03.2021.

⁹³ „ირაკლი კობახიძე - მოვუწოდებ ნიკანორ მელიას, დაემორჩილოს კანონს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება უზრუნველყოფს მის დაპატიმრებას“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3r64i9r>, განახლებულია: 19.03.2021.

⁹⁴ „ნიკა მელიას განცხადებით, გიორგი გახარბამ გადადგომით აღიარა, რომ „აქ სისხლისღვრა იქნებოდა და ძალადობა“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3cPCGjU>, განახლებულია: 19.03.2021.

⁹⁵ ნიკა მელიას განცხადება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3qZV0Mj>, განახლებულია: 19.03.2021.

⁹⁶ მთავარი არხის სპეციალური გამოშვება, მთავარი არხის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3tyxmrW>, განახლებულია: 19.03.2021.

⁹⁷ „ოპოზიცია მმართველ გუნდს ახალი არჩევნების ჩატარებაზე მოლაპარაკების განახლებისკენ მოუწოდებს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/398673>, განახლებულია: 19.03.2021.

⁹⁸ „ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრესსპიკერის განცხადება ბლოკდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tArOgz>, განახლებულია: 19.03.2021.

⁹⁹ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/38WTgNM>, განახლებულია: 19.03.2021.

ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნა

18 თებერვალს პარტია „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერობის ახალ კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილი დაასახელა,¹⁰⁰ რომელსაც 2012-2013 წლებში ეკავა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოზიცია, ხოლო 2013-2015 წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი.¹⁰¹ 22 თებერვალს პარლამენტმა ირაკლი ღარიბაშვილს და მის კაბინეტს, 89 ხმით 2-ის¹⁰² წინააღმდეგ, ნდობა გამოუცხადა.¹⁰³ სხდომას ასევე ესწრებოდა პარტია „ევროპელი სოციალისტების“ სამი წევრი,¹⁰⁴ რომლებმაც კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.¹⁰⁵

ოპოზიციის თქმით, ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობა პოლიტიკურ ძალთა პოლარიზებას გააღრმავებდა, ვინაიდან ის არ იქნებოდა კრიზისის გადაჭრაზე ორიენტირებული.¹⁰⁶

მიმდინარე მოვლენებზე კომენტარი გააკეთა საქართველოში აშშ-ის საელჩომაც.¹⁰⁷ განცხადების მიხედვით, აშშ-მა მოინონა ხელისუფლების ნაბიჯი ნიკა მელიას წინააღმდეგ სასამართლოს განჩინების აღსრულების გადადების შესახებ და მან მხარეებს სიტუაციის დეესკალაციისკენ მოუწოდა.¹⁰⁸

განვითარებული მოვლენების პასუხად, სოლიდარობის ნიშნად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში საქართველოში ლიეტუვის ელჩი ანდრიუს კალინდრა მივიდა.¹⁰⁹ სიტუაციის დეესკალაციისა და კონსტრუქციული პოლიტიკური დიალოგისკენ მოუწოდა მხარეებს ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც.¹¹⁰

მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის გამო საქართველოს ესტუმრა ლიეტუველი დეპუტატი

¹⁰⁰ „დასრულდა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომა“, საინფორმაციო პორტალ „რადიო თავისუფლების“ ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3cNXcBx>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁰¹ ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3seLHJG>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁰² ნდობის გამოცხადების წინააღმდეგ ორივე ხმა პარტია „მოქალაქეების“ წევრებს ალექო ელისაშვილს და ლევან იოსელიანს ეკუთვნოდა, იხ. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 22 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eX1R70>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁰³ „პარლამენტმა ირაკლი ღარიბაშვილს და მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ND3PhC>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁰⁴ ფრიდონ ინჯია, ავთანდილ ენუქიძე და დავით ზილფიმიანი, იხ. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი.

¹⁰⁵ იქვე.

¹⁰⁶ „პრემიერობის კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილის წარდგენას პოლიტიკოსები აფასებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/398958>, განახლებულია: 19.03.2021; „ბოლომდე განხეთქილების გზა აირჩიეს - ბაქრაძე ღარიბაშვილის პრემიერობაზე“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/520300/>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁰⁷ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადება, აშშ-ის საელჩო საქართველოში, ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3lwep6j>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ „ლიეტუვის ელჩი - „ნაცმოძრაობის“ ოფისში იმისთვის ვარ, რომ სოლიდარობა გამოვხატო იმ მოვლენების მიმართ, რაც ხდება, ვლელავ მომავალზე“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3c123QJ>, განახლებულია: 19.03.2021.

¹¹⁰ „ლიეტუვას საქართველოში „შერჩევითი სამართლის“ შესახებ კითხვები უჩნდება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/398683>, განახლებულია: 19.03.2021; „ლიეტუვის საგარეო უწყება - მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას და ოპოზიციას, თავი შეიკავონ ქმედებებისგან, რომლებიც საზოგადოებაში უფრო მეტ გაყოფას გამოიწვევს, სიტუაციის დაძაბვა ქვეყნის მომავლის პერსპექტივებს დააზიანებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2PbGUKo>, განახლებულია: 19.03.2021.

ჟიგიმანტას პავილიონისი. ის თავისი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა **ევროკავშირის ელჩს საქართველოში** კარლ ჰერცელს, **აშშ-ის ელჩს საქართველოში** კელი დეგნანს, უმრავლესობის, ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს.¹¹¹ პავილიონისმა მხარეებს, ლიეტუვის სახელით, მედიატორის როლის შესრულება შესთავაზა.¹¹² ასევე განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო საქართველოში ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრეზიდენტის ჩამოსვლა, თუმცა - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდებოდნენ.¹¹³ პავილიონისმა ხელისუფლებას პოლიტიკური რეპრესიების შეწყვეტისკენ მოუწოდა და შესაძლო სანქციების დაკისრებაზეც მიანიშნა.¹¹⁴

21 თებერვალს ოპოზიციურმა პარტიებმა ჟიგიმანტას პავილიონისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ 25 თებერვალს დაგეგმილ აქციებს გადადებენ, რითაც „ქართულ ოცნებას“ მოლაპარაკებების გაგრძელებას სთავაზობდნენ.¹¹⁵

ნიკა მელიას დაკავება

პარლამენტის მიერ ირაკლი ღარიბაშვილისადმი ნდობის გამოცხადების მეორე დღეს, 23 თებერვალს, გამთენიისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან სამართალდამცველები მივიდნენ.¹¹⁶ ოფისში მთელი ღამის მანძილზე იმყოფებოდნენ ენმ-ს წევრები, მათ შორის, ნიკა მელია და მის მხარდასაჭერად შეკრებილი სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები და აქტივისტები.¹¹⁷ შს სამინისტროს თანამშრომელმა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან განაცხადა, რომ მათი მიზანი იყო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების აღსრულება ყოველგვარი იძულების ღონისძიების გარეშე.¹¹⁸ თავის მხრივ, ოფისში მყოფებმა აღნიშნეს, რომ ისინი სპეცდანიშნულების რაზმს მშვიდობიანად შეხვდებოდნენ.¹¹⁹

ოპერაციას სამართალდამცავებსა და იქ შეკრებილებს შორის დაპირისპირება მოჰყვა.¹²⁰ სპეცრაზმმა ოფისიდან მოქალაქეების იძულებით გამოყვანა დაიწყო.¹²¹ ასევე, ცდილობდნენ, შენობაში სახანძრო კიბის საშუალებით შეეღწიათ.¹²² სამართალდამცველებმა ნიკა მელიას სამუშაო კაბინეტში შესვლისას წინაკის „სპრეი“ გაუშვეს.¹²³ საბოლოოდ, მათ „ერთიანი ნაციონალური

¹¹¹ Andrius Kalindra, Twitter post, 21 February 2021, 12:27 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tDEvaG>, განახლებულია: 19.03.2021.

¹¹² „ლიეტუვის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე - გთხოვთ, დაელაპარაკეთ ერთ-მანეთს! შეწყვიტეთ რეპრესიები! საქართველო ან მიდის ლიეტუვის გზით, ან გადაიქცევა ბელარუსად“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 20 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3seT11e>, განახლებულია: 19.03.2021.

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ „ოპოზიცია ხელისუფლებას მოლაპარაკებისკენ მოუწოდებს, ლიეტუველი დეპუტატი სანქციებზე საუბრობს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 22 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/399713>, განახლებულია: 19.03.2021.

¹¹⁶ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან სამართალდამცველები მივიდნენ“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2P9dKMg>, განახლებულია: 19.03.2021.

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან მყოფი სამართალდამცავი - ჩვენი მიზანია, სასამართლო განჩინების აღსრულება, ყოველგვარი იძულებითი ღონისძიების გარეშე“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3vzOzTE>, განახლებულია: 19.03.2021.

¹¹⁹ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან სამართალდამცველები მივიდნენ“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*.

¹²⁰ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში სამართალდამცავებსა და ადგილზე შეკრებილებს შორის დაპირისპირება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3eUB1ME>, განახლებულია: 19.03.2021.

¹²¹ იქვე.

¹²² „სამართალდამცავებმა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისს სახანძრო კიბე მიადგეს“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3lzB15Z>, განახლებულია: 19.03.2021.

¹²³ „სამართალდამცველებმა ნიკა მელია დააკავეს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 23 თებერვალი,

მოძრაობის“ თავმჯდომარე დააკავეს.¹²⁴

23 თებერვალს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ერთობლივი განცხადების მიხედვით, რომელსაც საიაც შეუერთდა, მთავრობის ეს ნაბიჯი წარმოადგენდა პოლიტიკურ გადანყვეტილებას, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაამწვავებდა კრიზისს.¹²⁵ უფრო მეტიც, მათი მხრიდან ვითარების განმუხტვისთვის არცერთი ნაბიჯი არ გადადგმულა.¹²⁶ განცხადების ავტორებმა საერთაშორისო პარტნიორებს მხარდაჭერისა და შესაბამისი რეაგირებისკენ მოუწოდეს.¹²⁷

საიას შეფასებით, საქართველოს მთავრობამ ვერ უზრუნველყო შექმნილი პოლიტიკური კრიზისის განმუხტვა და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მიმდინარე პროცესების დეესკალაცია.¹²⁸ გარდა ამისა, ოფისში, სადაც ბუნებრივი ვენტილაცია არ ხდებოდა, სამართალდამცავებმა „წინაკის სპრეი“ კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით გამოიყენეს.¹²⁹ ასეთ შემთხვევაში არსებობდა ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების საფრთხე.¹³⁰ ამასთან, საიამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა პოლიციის მიერ პირთა ადმინისტრაციული წესით დაკავების ლეგიტიმურობაც. საიას აზრით, დაუშვებელია მშვიდობიანი პროტესტის აღსაკვეთად დაკავების ზომის გამოყენება.¹³¹

საქართველოში აშშ-ის საელჩომ მომხდარი საქართველოს მიერ ევროატლანტიკური ოჯახისა და დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე უკუსვლად შეაფასა.¹³²

ამერიკელმა სენატორებმა - აშშ-ის სენატის ევროპისა და რეგიონული უსაფრთხოების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ჯინ შაჰინმა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ჯიმ რიშმა, ასევე კონგრესის ორმა წევრმა - კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა ადამ კინზინგერმა და ჯერალდ კონოლიმ ერთობლივი განცხადებით აღნიშნეს, რომ ხელისუფლების ქმედებები დიდ შეშფოთებას იწვევდა და საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დემოკრაციას და ევროატლანტიკური გაერთიანებისკენ მიმავალ გზას.¹³³ მათი თქმით, „საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა შეწყვიტოს პროვოკაციები და კრიზისის მშვიდობიანი მოგვარების გზა გამოიხატოს“.¹³⁴ ამასთან, მათ მოითხოვეს ნიკა მელიას და გიორგი რურუას დაუყოვნებლივ გათავისუფლება და მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდეს.¹³⁵ ადამ კინზინგერმა „ტვიტერის“ ანგარიშზე გამოქვეყნებულ პოსტში საქართველოს მთავრობის ქმედებას „საოცრად სულელური ნაბიჯი“ უწოდა.¹³⁶

აშშ-ის ჰელსინკის კომისიის ლიდერებმა, კონგრესმენებმა ელსი ჰასტინგსმა და ჯო უილსონმა, ასევე სენატორებმა როჯერ უიკერმა და ბენ კარდინმა ერთობლივი განცხადებით მთავრობას მელიას გათავისუფლებისა და მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდეს.¹³⁷

ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/400101>, განახლებულია: 19.03.2021.

¹²⁴ იქვე.

¹²⁵ „საგანგებო განცხადება ნიკა მელიას დაკავების შესახებ“, საიას ვებგვერდი, 2021 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3cRS0wm>, განახლებულია: 19.03.2021.

¹²⁶ იქვე.

¹²⁷ იქვე.

¹²⁸ „საიას შეფასება 23 თებერვალს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით“, საიას ვებგვერდი, 2021 წლის 24 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3s7dBra>, განახლებულია: 19.03.2021.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ იქვე.

¹³¹ იქვე.

¹³² საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადება, აშშ-ის საელჩო საქართველოში, ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3s49rQG>, განახლებულია: 19.03.2021.

¹³³ „Shaheen, Risch, Kinzinger, Connolly on Developments in Georgian Political Crisis“, US Senate News, 23 February 2021, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2QdarE8>, განახლებულია: 19.03.2021.

¹³⁴ იქვე.

¹³⁵ იქვე.

¹³⁶ Adam Kinzinger, Twitter post, 23 February 2021, 5:48 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2P3uJzs>, განახლებულია: 19.03.2021.

¹³⁷ „Helsinki Commission Leaders Slam Detention of Georgian Opposition Leader Nika Melia“, Commission on Security and Cooperation in Europe, 23 February 2021, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3f8BxHd>, განახლებულია: 19.03.2021.

მომხდარს გამოცხმაურა ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი, რომელმაც ნეგატიურად შეაფასა ნიკა მელიას დაკავება და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო დიალოგის გზით გადაჭრიდა პრობლემებს, რაც თავიდან ააცილებდა პოლარიზებულ რიტორიკასა და მოქმედებებს.¹³⁸

საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ევროკავშირის პარლამენტის წევრებიც გამოცხმაურნენ. **ევროპარლამენტარმა მარკეტა გრეგოროვამ** ნიკა მელიას დაკავება დემოკრატიის უკუსვლად შეაფასა და აღნიშნა, რომ პოლიტიკური პატიმრების სიის გაზრდა ევროპისკენ მიმავალ გზას არ წარმოადგენდა.¹³⁹ ესტონელმა პოლიტიკოსმა, **ევროპარლამენტარმა ურმას პაეტიმ** მხარეებს დიალოგისა და პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულებისკენ მოუწოდა.¹⁴⁰ **ევროპარლამენტის წევრმა ანა ფოტიგამ** განაცხადა, რომ საქართველომ ამ ქმედებით „90-იანი წლების მშფოთვარე წარსულისკენ დაიწყო სვლა“.¹⁴¹

პარტიებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდეს **ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა ოლივერ ვარჰელიმ**¹⁴² და **ევროპის სახალხო პარტიამ**.¹⁴³ ვარჰელიმ აღნიშნა, რომ ირაკლი ღარიბაშვილს, როგორც ახალ პრემიერ-მინისტრს, ევალეობდა დიალოგში ჩართვა და დაძაბული ვითარების დეესკალაცია.¹⁴⁴ ევროპის სახალხო პარტიამ ნიკა მელიას დაკავებას და ხელისუფლების მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას „საქართველოს დემოკრატიაზე განხორციელებული თავდასხმა“ უწოდა.¹⁴⁵ მან მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდა და ერთ-ერთ გამოსავლად რიგგარეშე არჩევნები დაასახელა.¹⁴⁶ ნიკა მელიას დაკავებაზე მსგავსი განცხადება გაავრცელა **პარტიის „ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის“ პრეზიდენტმა ჰანს ვან ბაალენმა**.¹⁴⁷ მან ასევე ხაზი გაუსვა რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მნიშვნელობას.¹⁴⁸

ევროპარლამენტარებმა მარინა კალიურანდმა და სვენ მიკსერმა ერთობლივი განცხადებით უარყოფითად შეაფასეს ხელისუფლების მიერ ნიკა მელიას დაკავება და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის შტურმით აღება.¹⁴⁹ მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი პროვოკაციულ ტაქტიკას იყენებდა, საპასუხოდ მთავრობის მიერ პარტიის ოფისში ძალისმიერი მეთოდებით შეჭრა არ წარმოადგენდა კრიზისიდან გამოსავალს.¹⁵⁰ ევროპარლამენტარების მოსაზრებით, პრობლემის გადაჭრა მხოლოდ მხარეებს შორის დიალოგით იყო შესაძლებელი.¹⁵¹

¹³⁸ James Appathurai, official Facebook account, 23 February 2021, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3s8sOll>, განახლებულია: 19.03.2021.

¹³⁹ Markéta Gregorová, Twitter post, 23 February 2021, 2:26 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bYPoxT>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁴⁰ „ევროპარლამენტარი ურმას პაეტი - ღრმად შეშფოთებული ვარ მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავების შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3qYW7vH>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁴¹ Anna Fotyga, Twitter post, 18 February 2021, 1:14 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3r33cv8>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁴² Oliver Varhelyi, Twitter post, 23 February 2021, 11:40 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38WlJM7>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁴³ European People's Party, Twitter post, 23 February 2021, 5:22 PM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OFwCTH>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁴⁴ Oliver Varhelyi, Twitter post, 23 February 2021, 11:40 PM.

¹⁴⁵ European People's Party, Twitter post, 23 February 2021, 5:22 PM.

¹⁴⁶ იქვე.

¹⁴⁷ „ALDE President reacts to news from Georgia“, Alliance for Liberals and Democrats for Europe, 23 February 2021, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2P5porm>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁴⁸ იქვე.

¹⁴⁹ „Joint Statement by the Chair of the Delegation for relations with the South Caucasus, MEP Marina KALJURAND, and the European Parliament's Standing Rapporteur on Georgia, MEP Sven MIKSER, on the political situation in Georgia“, European Parliament, 23 February 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OEG8pH>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ იქვე.

ევროპარლამენტარებმა¹⁵² ერთიანი წერილით მიმართეს ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს, რომელიც უახლოეს მომავალში საქართველოში ვიზიტს გეგმავდა მისი ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად.¹⁵³ განცხადებაში ავტორებმა ხაზი გაუსვეს 2020 წლის ოქტომბრის არჩევნების ხარვეზებს, ოპოზიციის ბოიკოტს პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით და ერთ-ერთი დიდი ოპოზიციური პარტიის ლიდერის ნიკა მელიას დაკავებას, რამაც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო დაამძიმა.¹⁵⁴ წერილის ავტორებმა მოუწოდეს პრეზიდენტ მიშელს, გამოეყენებინა საქართველოში მისი ვიზიტი იმისთვის, რომ დახმარებოდა პოლიტიკურ პარტიებს დიალოგის განახლებაში.¹⁵⁵ მათ ასევე ხაზგასმით აღნიშნეს სამოქალაქო სექტორის მოლაპარაკებებში ჩართულობის მნიშვნელობა და მათი დადებითი გავლენა პროცესებზე.¹⁵⁶

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრესსპიკერმა პიტერ სტანომ მხარეებს საერთო ენის გამონახვისკენ მოუწოდა.¹⁵⁷ განცხადებაში მან ხაზი გაუსვა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და ინკლუზიური საპარლამენტო პროცესის მნიშვნელობას.¹⁵⁸ ამასთან, ევროკავშირმა პარლამენტში ოპოზიციის შესვლა საქართველოს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისთვის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნია.¹⁵⁹

მიმდინარე მოვლენებზე კომენტარი **საქართველოში გერმანიის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმაც** გააკეთა.¹⁶⁰ მისი თქმით, საქართველოში არსებობდა იმის საშიშროება, რომ პარტიებს თავი პირველ ადგილზე დაეყენებინათ.¹⁶¹ ეს კი აშკარა იყო მაშინ, როდესაც ისინი მონაწილეობდნენ საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ „არ იდგამ[დნენ] პასუხისმგებლობის უღელს“.¹⁶² ელჩის განცხადებით, „დემოკრატია არ არის ის, რასაც აკეთებ ევროკავშირის ან შეერთებული შტატების მოსაწონებლად, არც კრემლში ხალხის გასალიბიანებლად და მათ გულში შიშის გასაღვივებლად. თქვენ ამას აკეთებთ საკუთარი კეთილდღეობისთვის, როგორც ერი - და იმიტომ, რომ თქვენ მისი ისტორიის წინაშე გაქვთ ვალდებულება“.¹⁶³

საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კრიზისს ასევე გამოეხმაურნენ **ესტონეთის, ლატვიისა და ლიეუტვის საგარეო საქმეთა მინისტრები**. მათ ერთობლივ განცხადებაში მიმდინარე მოვლენების გამო შეშფოთება გამოხატეს და ყველა პოლიტიკურ ძალას თავშეკავებისკენ, სიტუაციის დეესკალაციისა და კონსტრუქციული გამოსავლის გამოძებნისკენ მოუწოდეს.¹⁶⁴ განცხადების ავტორებმა მხარი დაუჭირეს ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს განევრიანების მისწრაფებას, თუმცა ასევე ხაზი გაუსვეს ამ ამბიციური საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის

¹⁵² წერილის ავტორები არიან ევროკავშირის პარლამენტის წევრები: პეტრას აუსტერვიჩუსი, ანდრიუს კუბილიუსი, მარკეტა გრეგოროვა, ვიტოლდ იან ვაშჩიკოვსკი, ხავიერ ნარტი და ვიოლა ფონ კარმონი.

¹⁵³ „Remarks by President Charles Michel on the occasion of the 30th anniversary of Visegrad cooperation“, European Council, 17 February 2021, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3bYNnRV>, განახლებულია: 19.03.2021, „President Charles Michel to visit Republic of Moldova, Georgia and Ukraine“, European Council, 25 February 2021, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3vGNMk4>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁵⁴ Letter to the President of the European Council Charles Michel, European Parliament, 23 February 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/310zkoG>, განახლებულია: 19.03.2021

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ „ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრესსპიკერის განცხადება ბოლოდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 25 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2NvkoMc>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁵⁸ იქვე.

¹⁵⁹ იქვე.

¹⁶⁰ „გერმანიის ელჩი - საქართველოში თვალსაჩინოა საშიშროება იმისა, რომ პარტიებმა თავი პირველ ადგილზე დააყენონ“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 25 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3eWMED0>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁶¹ იქვე.

¹⁶² იქვე.

¹⁶³ იქვე.

¹⁶⁴ „Joint Statement of the Ministers of Foreign Affairs of the Baltic States concerning political situation in Georgia“, Ministers of Foreign Affairs of the Republic of Lithuania, 25 February 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tCgh0c>, განახლებულია: 19.03.2021.

შიდა პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელობას.¹⁶⁵ მსგავსი განცხადება გააკეთა **ლიეტუვის პრეზიდენტმა გიტანას ნაუსედამაც**.¹⁶⁶

მიმდინარე მოვლენებს ერთობლივი განცხადებით გამოეხმაურნენ **აშშ-ის სენატისა და შვიდი ევროპული ქვეყნის პარლამენტების საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები**.¹⁶⁷ განცხადებაში ნათქვამია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისზე შტურმმა და ნიკა მელიას დაპატიმრებამ გამოაჩინა საქართველოში დემოკრატიისა და თავისუფლების სიმყიფე.¹⁶⁸ ძალადობრივი ქმედებები არ შეესაბამებოდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის 2020 წლის 8 მარტს მიღწეულ შეთანხმებას.¹⁶⁹ განცხადების ავტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ძალადობა და თავისუფლების შეზღუდვა საქართველოს ევროინტეგრაციას საფრთხის ქვეშ აყენებდა.¹⁷⁰ მათ მხარეებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ მოუწოდეს.¹⁷¹

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის - შარლ მიშელის ვიზიტი საქართველოში

28 თებერვალს ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტის - ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი საქართველოს ეწვია.¹⁷² ვიზიტის ფარგლებში დაანონსდა მისი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან - როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე.¹⁷³

¹⁶⁵ იქვე.

¹⁶⁶ "Statement on Georgia by the President of the Republic of Lithuania", President the Republic of Lithuania, 25 February 2021, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3cPC4uM>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁶⁷ რობერტ მენენდესი აშშ-ის სენატიდან; ტომ ტუგენდჰატი გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატიდან; ნორბერტ როტგენი გერმანიის ბუნდესტაგიდან; პაველ ფიშერი ჩეხეთის სენატიდან; მარეკ კუჩინსკი პოლონეთის სეიმიდან; ჟიგიმანტას პავილიონისი ლიეტუვის სეიმიდან; მარკო მიჰკელსონი ესტონეთიდან და რიჰარდს კოლსი ლატვიიდან, იხ. „Zygmantas Pavilionis, Chair of the Seimas Committee on Foreign Affairs, in cooperation with influential European and US parliamentarians, issued the statement on the situation in Georgia“, Lietuvos Respublikos Seimas, 26 February 2021, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3r6hHhL>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁶⁸ იქვე.

¹⁶⁹ იქვე.

¹⁷⁰ იქვე.

¹⁷¹ იქვე.

¹⁷² „ევროპული საბჭოს პრეზიდენტი თბილისს სტუმრობს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 28 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/402140>, განახლებულია: 19.03.2021.

¹⁷³ „Weekly schedule of President Charles Michel“, European Council, 28 February 2021, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2P60fNp>, განახლებულია: 19.03.2021.